ETHNIC, CULTURAL AND RELIGIOUS FEATURES REFLECTED IN TOPONYM (AFTER THE MOST UP-TO-DATE ETHNOGRAPHIC MATERIAL)

ტოპონიმებით გადმოცემული ეთნიკურ-კულტურული და რელიგიური მახასიათებლები (უახლესი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

David Shavianidze
Akaki Tsereteli State University
Associate Professor of the Department of History and Archaeology.
Tariel Putkaradze Scientific Research Center of Kartvelology
researcher, ethnologist
Kutaisi, Tamar Mefe St. #59, 4600, Georgia,
+995599494770, David.shavianidze@atsu.edu.ge
https://orcid.org/0000-0002-0568-1226

Luiza khachapuridze
Akaki Tsereteli State University
Faculty of Philology,
Department of Georgian Language and Literature,
Georgian language course
Associate Professor, Doctor of Philology,
Kutaisi, Tamar Mefe St. #59, 4600, Georgia
+995577668601, Luiza.khachapuridze@atsu.edu.ge
https://orcid.org/0000-0002-1991-2005

Abstract. A study of toponyms allows us to research ethnisity, mentality, material and spiritual culture, lifestyle, faith and religious issues of an ethnic unity.

The discussed toponyms (Khutsuri, Saqdriari, Cross, Tarangel's Throat, Korokha Seri, Naecclevi, Sajvari, Rulegora, Navanebi, Tskhratskaro, Mukhaestate, Kvajvari, Saberekhevi, "The Source of the Monks", Jgrag Balashi, Minatskaro, Sajvari, Napudzveri, Jgrag Tsepeli, Jvariseri) are the first sources of research on ethnic and cultural history, man, community, ethnos and relations with the foreign cultural world.

The toponyms for analysis reveal the procedure for their creation and names, writing and literary language productions, and dialectical characteristics; On the preservation of Georgian consciousness from the inhabitants of the Muslim and the lost historical-ethnographic units of Georgia (Adjara and Tao-Imerkhevi).

The ethnographic materials on toponyms found in the historical-ethnographic units of Georgia reveal the human "law of life", one of the main determinants of relations on faith-religiosity.

With the folk etymologies of Toponym, their complex-ethnohistorical research makes it possible not only to distinguish the correct interpretation, but also to perfectly represent the pragmatic goals of the toponym creation.

Based on the "always renewable reality of the nation", the name of the toponyms of the cultural and faith created on the basis of self-awareness in the language of the ethnos is confirmed in the regions of Georgia: "An Observational Reading and Understandable Book"; **"History toponyms"**.

It turns out about the importance of lexical units used in the common Georgian (We will consider the example of "the most literate"); In various historical and ethnographic units of Georgia, historical significance is narrowed today.

The reality conveyed by our "history toponyms" and related materials may be known to scientific circles, but the description will be updated with new information and the relevant conclusions of the study. Consequently, we consider the present and the future to be an outstanding thing for the socio-living cultural history monument, the political and social past of the nation, the source of mentality, the geographical object of the country, the knowledge of the people in memory of the people (/museum archive) and the complex ethnohistorical research.

toponymia; "from the ever-present righteous of the nation"; Toponym - "An Observational Reading and Recognition Book"; "History toponyms"; Lexical unit - "uneducated"; People's Memory (/Museum Archive); Ethnohistorical research.

Keywords: Toponyms, religion, culture, nomenclature principles, national thinking.

დავით შავიანიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.
ტ. ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის
ცენტრის მკვლევარი, ეთნოლოგი
ქუთაისი, თამარ მეფის ქ. #59, 4600, საქართველო,
+995599494770, David.shavianidze@atsu.edu.ge
https://orcid.org/0000-0002-0568-1226

ლუიზა ხაჭაპურიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფილოლოგიის ფაკულტეტის,
ქართული ენისა და ლიტერატურის დეპატრამენტის,
ქართული ენის მიმართულების
ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი,
ქუთაისი, თამარ მეფის ქ. #59, 4600, საქართველო,
+995577668601, Luiza.khachapuridze@atsu.edu.ge
https://orcid.org/0000-0002-1991-2005

აბსტრაქტი. ტოპონიმების შესწავლა საშუალებას იძლევა ვიკვლიოთ ეთნოსის ეთნიკურობის, მენტალობის, მატერიალური და სულიერი კულტურა, ცხოვრების წესი, რწმენითი და რელიგიურობის საკითხები.

სამსჯელოდ გამოტანილი ტოპონიმები (**ხუცური**, **საყდრისკარი**, **საჯვარე**, **თარანგელოზის ყელი**, **კოროხა სერი**, **ნაეკლესიევი**, **საჯვარე**, **წესიგორა**, **ნავანები**, **ცხრაწყარო**, **მუხაესტატე**, **ქვაჯვარი**, **საბერეხევი**, „**ბერების წყარო**“, **ჯგრაგ ბალაში**, **მინაწყა-**

რო, **საჯვარე**, **ნაფუძვერის, ჯგრაგ წეფელში**, **ჯვარისერი**) ეთნიკურ-კულტურული ისტორიის, ადამიანის, თემის, მთლიანად ეთნოსის და უცხო კულტურულ სამყაროსთან ურთიერთობის კვლევის პირველწყროცაა.

საანალიზოდ გამოტანილი ტოპონიმებით ირკვევა მათი შექმნა-სახელდების, სამწერლობო-სალიტერატურო ენის მაწარმოებლებით, დიალექტური მახასიათებლებით გაფორმების წესი; საქართველოს გამაჰმადიანებულ და დაკარგულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულთა (აჭარა და ტაო-იმერხევი) მკვიდრებისაგან ქართული ცნობიერების შენარჩუნების შესახებ.

საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულებში ტოპონიმების შესახებ მოძიებული ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა ადამიანის „ცხოვრებისეული კანონის“, ურთიერთობების ერთი მთავარი განმსაზღვრელი რწმენა-რელიგიურობის შესახებ.

ტოპონიმთა ხალხური ეტიმოლოგიებით, მათი კომპლექსურ-ეთნოისტორიული კვლევით შესაძლებელი ხდება არა მხოლოდ მართებული ინტერპრეტაციის გამორჩევა, არამედ ტოპონიმთა შექმნის პრაგმატული მიზნების სრულყოფილად წარმოჩენა.

ეთნოსის ენაში, თვითშეგნების საფუძველზე შექმნილი კულტურულ-რწმენითი ყოფის შესახებ მთხრობელი ტოპონიმების სახელად, საქართველოს მხარეებში დასტურდება: „**დაკვირვებით საკითხავი და ამოსაცნობ-გასაგები წიგნი**“; „**მეისტორიე ტოპონიმები**“.

ირკვევა საერთოქართველურში გამოყენებული ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობა (განვიხილავთ „**უგანათლებულესის**“ მაგალითზე); საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულებში, ისტორიულ წარსულში დადასტურებული მნიშვნელობა დღეს დავიწროებულია.

სამსჯელოდ გამოტანილი, ჩვენეული „**მეისტორიე ტოპონიმებით**“ და მასთან დაკავშირებული მასალებით გადმოცემული სინამდვილე შეიძლება ცნობილი იყოს სამეცნიერო წრეებისთვის, თუმცა მოხდება აღწერილის განახლება ახალი ინფორმაციით, კვლევით მიღებული შესაბამისი დასკვნებით. შესაბამისად, აწმყო-მომავლის საშურ საქმედ მიგვაჩნია სოციალურ-ყოფით კულტურული ისტორიის ძეგლის, ერის პოლიტიკურ-სოციალური წარსულის, მენტალობის შემსწავლელი წყარო, ქვეყნის გეოგრაფიული ობიექტი ტოპონიმების, მათთან დაკავშირებული მასალების შესახებ ხალხის მეხსიერებაში(/**მუზეუმ არქივი**) არსებული ცოდნის მოძიება შენახვა, კომპლექსურ-ეთნოისტორიული კვლევა.

საკვანძო სიტყვები: ტოპონიმები, რელიგია, კულტურა, სახელრქმევის პრინციპები, ნაციონალური აზროვნება.

შესავალი. ტოპონიმების შესწავლა საშუალებას იძლევა ვიკვლიოთ ეთნოსის ეთნიკურობა და მენტალობა, მატერიალური და სულიერი კულტურა, ცხოვრების წესი, რწმენითი და რელიგიურობის საკითხები.

საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულებში ტოპონიმების შესახებ მოძიებული ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა ადამიანის „**ცხოვრებისეული კანონის**“, ურთიერთობების ერთი მთავარი განმსაზღვრელი რწმენა-რელიგიურობის შესახებ.

ტოპონიმთა ხალხური ეტიმოლოგიებით, მათი კომპლექსურ-ეთნოისტორიული კვლევით შესაძლებელი ხდება არა მხოლოდ მართებული ინტერპრეტაციის გამორჩევა, არამედ ტოპონიმთა შექმნის პრაგმატული მიზნების სრულყოფილად წარმოჩენა.

წყაროების/ლიტერატურის მიმოხილვა: კვლევის დროს ჩვენ წესისამებრ გამოვიყენეთ ჩვენ მიერ სხვადასხვა დროს ეთნოგრაფიული ექსპედიციების მიმდინარეობის დროს მოძიებული ეთნოგრაფიული მასალები. ცალკეულ საკითხთა შედარება-პარალელებისათვის მოვიხმეთ სამეცნიერო ლიტერატურა.

მეთოდები. კომპლექსურ-ისტორიული, შედარებითი ანალიზის, შედარებით-ისტორიული, ისტორიულ-ტიპოლოგიური მეთოდები

დისკუსია და შედეგები: სამსჯელოდ გამოტანილი, ისტორიების, ქვეყნის სოცილური-კულტურული და რელიგიური ყოფის, საკუთარეთნიკურთან დამოკიდებულების ამსახველი, ჩვენეული, **მეისტორიე ტოპონიმები** შეიძლება ცნობილი იყოს სამეცნიერო წრეებისთვის, თუმცა ტოპონიმის შექმნის შესახებ არსებული ახალი ინფორმაციის კვლევით, მიღებული შესაბამისი დასკვნებით ირკვევა საზოგადოების, რეგიონის პოლიტიკურ-კულტურული ისტორია. აქვე შევნიშნავთ, რომ ენობრივი თვალსაზრისით გვხვდება საერთოქართულისთვის დამახასიათებელი, როგორც მარტივფუძიანი, ასევე, აფიქსური, კომპოზიტური და მსაზღვრელ-საზღვრულიანი ტოპონიმები.

ეთნოგრაფიული მასალა:

„**დიდგორი**“, მდებარეობის მიხედვით შექნილი, ლეჩხუმის სოფელ ნაკურალეშის ტოპონიმია. „სოფელში ყველაზე მაღალი, გორაზე გაშლილი ადგილია. ერის სულის საზრდოდ, ქართულტრადიციული ცხოვრების სახსოვრად შექმნილია. ლეჩხუმლები ახალკვირეობას ზეიმობდნენ ამ გორაზე, სადაც ყოფილა თლილი ქვით ნაშენი ეკლესია. სათემო შესაკრებელი იყო. დიდი საქმეები წყდებოდა აქ. დღეს თემობა აღარაა, თუმცა თავშესაყარი ადგილია და ძველის პატივისცემას გახსენებს, როგორც ქართულობის შენარჩუნების ადგილი (მთხრობელი ანტ. გოლეთიანი. ნაკურალეში. 2017).

ქვეყნის გეოგრაფიული ობიექტები ისტორიული, სოციალურ-ყოფით კულტ-ურული ისტორიის ძეგლებია. ერის კულტურული-ისტორიული, სოციალური წარსულის, მენტალობის შესასწავლად აუცილებელია მათზე, სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის მკვიდრთა მეხსიერებაში(/**მუზეუმ არქივი**) არსებული ცოდნა მოვიძიოთ, ვიკვლიოთ, შევინახოთ.

სავრიათი - თამარა დედოფალს გორეებზე სათვალთვალო ადგილები უკეთებია მტრისგან დასაცავად. პარხალში „ტუნელი გაუკეთებია“, მთაში ადიოდა, იარაღის სამალავი იყო და კაცისაც (ელიას ხევი. 2022).

კავკასიძეები დუუსახლებია, ხელი შუუწყვია თამარას. ციხე უუშენებიენ (ხევაი. 2022).

აფიქსური ტოპონიმი **ნაფუძვერი** (ნა-ფუძ-არ-ი)- ადგილი ხოტევში, სოფლის ცენტრში. გარემოებათა გამო აქაურობა გაპარტახდა დარჩა ნამოსახლარი. „ამ დროში აქ სიმინდს და ლობიოს თესენ“.

საჯიჯაოს ადრე **საძიძაო** ერქვა. ხალხური ეტიმოლოგიით (მიგვაჩნია, რომ გადმოცემის ნამდვილობა კვლევას საჭიროებს - ხაზი ჩვენია) სოფელს შეიძლებოდა საძიძაო რქმეოდა „გაძიძავების დიდი ხნის ტრადიციიდან გამომდინარე“.

ყარნება- მდინარე **ყარნება** მდინარე ჩხერიმელას მარჯვენა შენაკადია, ისინი სოფელ ლაშეში უერთდებიან ერთმანეთს. მდინარის სახელწოდებასთან დაკავშირებით ხალხში არსებობს შემდეგი თქმულება: „ოსმალთა შემოსევების პერიოდში ერთ-ერთი ბრძოლა მდინარის მიდამოებში მომხდარა. დაღუპული მტრის და არა თავის ქვეყნისთვის მებრძოლი ქართველების გვამებს ყორნები დასევია.

რა თქმა უნდა ჩვენი მასალა უფრო ლეგენდაა, თუმცა სწავლებაა. ქართველთა მიზანდასახული ქცევის ფორმაა ცოდნა-ჩვევის მიმცემი.

ტოპონიმთაგან გადმოცემული „**მართალი**“ (ხალხის მიერ სიმართლედ ნაგულისხმევი) ეთნოსის ენაში ასახული მახასიათებლების, თვითშეგნებით ნაკარნახევი კულტურული ყოფის შესწავლის უტყუარი საშუალებაა; საანალიზოდ გამოტანილი ტოპონიმების წარმოების, შექმნა-სახელდების და ენობრივი მაწარმოებლებით გაფორმების წესი (აფიქსური, კომპოზიტური, მსაზღვრელ-საზღვრულიანი ტოპონიმები) ადასტურებს ამ მხარის ქართული ცნობიერებისგან დაუშორებლობის, ქართველურისგან ჩამოურჩენლობის შესახებ.

რწმენა–სარწმუნოებით მოტივირებული ტოპონიმები:

საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულებში მოძიებული მასალებით ირკვევა, რომ ადამიანის და „ცხოვრებისეული ბუნების, წესის“ ურთიერთობის ერთი მთავარი განმსაზღვრელი იყო რწმენა, რელიგიურობა.

აღნიშნულის დასტურია რწმენა-რელიგიურობის, ისტორიულად ჩამოყა-ლიბებული, ბუნებრივ-რელიგიური სპეციფიკის აღმწერი ტოპონიმები.

ხუცური - „არ დაარქმევდნენ მახალაკიძნები ისე, თუ აქ ხუცი არ იქნებოდა“ (სოფელი მახალაკიძეები).

საყდრისკარი - ქრისტიანული საყდრის ადგილი მახალაკიძეებში. სალოცავი და ხუცის საცხოვრებელი „**ფეთაურის**“ უბანში“ (სოფელი მახალაკიძეები).

თარანგელოზის ყელი - იგივეა რაც მთავარანგელოზის ყელი (დიდაჭარა).

კოროხა სერი - მაღალი ადგილი სოფელ მახალაკიძეებში.

ეთნოგრაფიული მასალა: „მოციქულს, ფეხამბარს გამოუვლიაო ცხენით. როცა გორაზე ავიდა წყალი მოწყურდა. ხელი მიადვა კლდეს და წამოვიდა წყალი. თქმულების მიხედვით, თუ ავა ვინმე და იმ წყაროს წყალს დალევს, სახლში ჩამოსვლამდე კოკ-ისპირული წვიმა გადაუვა თავზე ან სეტყვა. წყალმა დროთა განმავლობაში ურწმუნოთა ქმედების გამო ქვევით ჩამოინაცვლა“.

ნაეკლესიევი - გამოუყენებელი ადგილი ხოტევში. დროთა სვლა იქ არსებული ხის ეკლესია დაუშლია. დაშლილი ეკლესიის ფიცრები ხალხმა სათბობად გამოიყენა. დროში ამ ადგილს ნაეკლესიები ეწოდა (სოფელი ხოტევი).

საჯვარე - სოფელ ძირაგეულის მკვიდრი „ადგილობრივები, ამ საჯვარეს წევრები, ილოცავენ აქაურობას. საწესო წესს იცავს ყველა. ჩვენში ასეა, ხარ სალოცავის წევრი, თემის წევრიც ხარ, ვალდებული ხარ ერთთანაც და მეორესთანაც“ (სოფელი ძირაგეული).

საჯვარე - „სოფელ ლაშეში. „საჯვარეზე“ აღმართულია დიდი ჯვარი. თუმცა შასაძლოა, ადგილის სახელწოდების მიზეზი იყოს ორი სოფლის „**გზაჯვარზე**“ (გზაჯვარედინზე) მდებარეობა (სოფელი ლაშე).

ქვაჯვარი - ლეჩხუმელ ბახსოლიანებს საკუთარი სალოცავი წმინდა ხე ჰქონდათ ლეჩხუმის ტყეში. მასთან დადებული ჰქონდათ ნიში - „ქვაჯვარი“ და ლოცულობდნენ მასზე. იხდიდნენ გვარის დღეობებს, ზეიმობდნენ გვარის დღესასწაულს. რიტუალს ძირითადად მამაკაცები ასრულებდნენ ორი მიზეზის გამო. პირველი, რომ საკულტო ხე მამაკაცური ძლიერების სიმბოლო იყო. მეორე, რომ რიტუალი ძნელად შესასრულებელი იყო და ქალს უფრო დიდ ტვირთს არავინ ჰკიდებდა" (მთხრობელი მ. ბახსოლიანი, ორბელი, 2002).

ჩვენ ხელთ არსებული, საქართველოს ყველა მხარის ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება საკულტო ხის (მუხა, ცაცხვი, ტირიფი, იფანი, ალვა, ნაძვი, ფიჭვი, ჭადარი და სხვა) „**სამამაკაცო ძლიერებასთან**“[1] დაკავშირებული ცოდნა; განსაკუთრებული ძალის

1 ცნობილია, რომ ხის კულტთან ვაჟკაცური ნებელობა იყო გაცხადებული, რის გამოც საკრალური ხეები წმინდა გიორგის სახელთან იყო წილნაყარი. ქრისტიანულ საქართველოში თითქმის ყველა

და ენერგიის მატარებელი ხეების წმინდა საკულტო ხედ აღიარების შესახებ. ცნობილია, რომ მსგავს ხეებს „ხატის ნაკრძალში ხეს სათავისოდ არავინ მოჭრიდა“.

ხალხური ცოდნით „თავად მარადიულობის გამგრძელებელი მამაკაცი ემსახურებოდა უკვდავებას, სიცოცხლის გამგრძელებელ ქალს. რწმენით სამადლობელო მსახურებას აღავლენდა წმინდა ხესთან. ქართული მენტალობის მიერ წმინდა ხეებად აღიარებული მუხა, ცაცხვი, იფანი, ვაზი და სხვა“.

მეცნიერული შესწავლის შემდეგ ხალხის მიერ აღირებული წმინდა ხეები („**გულმაგარი**, **გამძლე ხეები**“) მათი თვისებების გამო აღიარებულია მოკვდავი და აღორძინებადი ბუნების სიმბოლოებად; მეცნიერული მტკიცებით ყოველ ხეს თავისი ფუნქციური დატვირთვა ჰქონდა. ცაცხვის ხისგან დამზადებულ პურის კარადაში არასდროს ობდებოდა პური და თაგვიც კი ვერ უდგებოდა ახლოს; უდიდესი ენერგიის მატარებელი მუხისგან დედაბოძებს, ხოლო მუხის გულისგან სახლის კოჭებს თლიდნენ; ჩვენში კარგად სცოდნიათ ურთხელის გამძლეობის, ფიცხიანობისა და ნელი ზრდის ამბავი. სწორედ ეს თვისებები გამხდარა ამ ხის თაყვანისცემის მიზეზი (ნინო გოცაძე, წმინდა ხის კულტი, ხატის ტყე და ძველი ქართული ტრადიციები. https://sputnik-georgia.com/20181023/242611820.html).

წესიგორა. ვანის სოფელ ჭყვიშის აღნიშნული ტოპონიმით მოთხრობილი ისტორია: „თუ გინდა თემის წევრი იყო, სალოცავის მოწესეობაც სავალდებულოა. წევრად გახდომა ნიშნავს, ცნობიერ ცხოვრებას, რომ იწყებ, შენ სოფელს, ქვეყანას, სალოცავს უნდა ემსახურო. ალბათ იყო წევრად გახდომის რიტუალიც წინეებზე. ის ნამდვილად ვიცი, რომ წევრობა რაც ვთქვი იმას ნიშნავს. წევრი გაჩენის დღიდან ხარ, მაგრამ როდიდან არ არღვევ, როცა გონზე მოდიხარ და ხვდები, რომ არ ეღალატება რწმენას“.

შდრ., აღმოსავლეთ საქართველოს მთაში მეთემეთაგან სრულდებოდა ჯვარში განსაზღვრული წესების შესრულება: განათვლა, მიბარება საჴელოში ჩადგომა/ზღურბლის დაჴლავა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ეს ცალკეული ეტაპები გასავლელია მეთემე მამაკაცის თემის სრულუფლებიან წევრად ჩამოყალიბების (ჴელოსნად) გახდომის გზაზე (ერიაშვილი 2016: 439).

ციალა ბლადაძის მონათხრობი სოფელ მუხაესტატეს სახელდების რელიგიურ ნიშანზე მიგვანიშნებს. სოფელს მღვდელი ესტატეს სახელი მას შემდეგ დარქმევია, რაც უწამებელმა მტრებმა/„**უხსენებლებმა**“ აწამეს და ხეზე გააკრეს“.

გვაქვს გადმოცემის სხვა ვარიანტიც, რომლის თანახმად სოფლის სახელწოდება დაკავშირებულია ტყვეთა სყიდვასთან. ჭანიეთელი გლეხი ესტატე ბავშვებს იტაცებდა და ოსმალეთში ჰყიდდა. ერთხელ, როდესაც მუშტარი დათქმულ ადგილას არ დახვდა, მან ბავშვი მუხაზე მიაბა და ხეზე კი სახელი ესტატე ამოკაწრა, რათა მყიდველს გაეგო ბავშვი ვინ მიუყვანა და ფული ხის ფუღუროში დაეტოვებინა. წლების შემდეგ ესტატეს მღვდლისთვის აღსარებაში გაუნდია ეს ამბავი და ადგილიც დაუსახელებია. ხალხში ეს ამბავი გავრცელდა და ადგილს მუხაესტატე დაერქვა. (ვიკიპედია: თავისუფალი ენციკლოპედია, თ.გ.)

აღნიშნული ის შემთხვევაა, როცა ეთნოგრაფიული მასალა აუცილებელ გადამოწმებას საჭიროებს, თუმცა ფაქტია, რომ სასულიერო პირთა და რიგით მორწმუნეთა წამების ფაქტებიც იყო არაერთგზისი.

ღორეშაში **ნავანების** სალოცავზე მიმავალ საურმე გზის ნაპირას მოჩუხჩუხე წყაროს სამკურნალოდ იყენებდნენ წინაპრები. მას ადგილობრივები **ცხრაწყაროს** ეძახიან. გავრცელებული ლეგენდის მიხედვით აქ უამრავი პატარა სამკურნალო წყაროები

წმინდა ხე ან ტყე წმინდა გიორგის სახელითაა მონათლული. სვანური `ჯგრაგ“ და მეგრული `ჯგეგე” თავის მრავალსახეობით წარმართული კულტის ტერმინი მუხაა.

ამოდიოდა და ერთად თავს იყრიდა. ბრძოლის დროს მეომრები ცხრაწყაროს გუბეებში ისველებდნენ ჭრილობებს და იარებს იშუშებდნენ.

საბერეხევი - ბერების გამოქვაბული სოფელ ბოლნისის სოფელ ქვეშში. აქვე არის „**ბერების წყარო**“.

ჯგრაგ ბალაში - ნაეკლესიარი. ილოცებიან პეტრე-პავლობას (ბეჩო).

ჯგრაგ წეფელში - წეფელში წმინდა გიორგი ეკლესია (ბეჩო).

ჯვარისერი - ისრითის ტოპონიმი.

ტოპონიმი (შეიძლება ვთქვათ, როგორც ყურადღებით წასაკითხავი წიგნი) საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ, თუ როგორ ყალიბდებოდა, რას უკავშირდებოდა, რაზე იყო გათვლილი ეთნოსის აზრი, ფიქრი.

აღნიშნულის, პარალელის გავლების საშუალებას გვაძლევს ეთნოსის რწმენით-რელიგიური კომპლექსის, თვითმყოფადი კულტურული ყოფის შესწავლის წყარო, ტოპონიმი „**გამონათლევი**“.

კვლევის დროს იკვეთება, როგორც რელიგიური ცნობიერების შეცვლით მიღებული განმარტება, ასევე ტერმინის „**უგანათლებულესი**“ (გამოჩინებული, რჩეული) დროში მიჩქმალული, მხოლოდ ენობრივი შესწავლის დროს ყურადღებამიუქცეველი ნაწილი ისტორიისა, ე.წ. ემოციური იერი, სიტყვის სხვა მნიშვნელობით გამოყენების შესახებ.

გადმოცემის თანახმად დროთა სიავისაგან ნანგრევებად ქცეული გამონათლევის ეკლესია 11–13 საუკუნეებში აბუსერისძეებს რამდენჯერმე აღუდგენიათ.

სიტყვა ,,გამონათლევი“ ნათლობიდან მომდინარაობს. აღნიშნული ეკლესიის ნანგრევების შესახებ თ. სახოკია თავის ნაშრომში ,,მოგზაურობანი“ 1897 წელს აღნიშნავს, რომ სოფელ ოლადაურში ქარცივაძეების ეზოში ძველი ნასაყდრალია, ძველი ეკლესიის ნანგრევებიდან მხოლოდ ქვების გროვა ყოფილა დარჩენილი და მის ირგვლივ ძველად დარგული ბზის ხეები ყოფილა დარგული, მთელ ამ ადგილს მოწიწებით ეპყრობიან. შეუძლებელია იქ დარგულ ხეებს ტოტი ჩამოაცილონ (თ. სახოკია 1985).

გამონათლევის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მშენებლობა 1998 წელს დაიწყო. 2001 წელს ჯერ კიდევ ხარაჩოებში ჩასმულ მშენებარე ეკლესიაში აღესრულა პირველი წირვა–ლოცვა, ასევე შედგა პირველი ნათლობა. ამ დღეს 80–ზე მეტი ახალგაზრდა და მოხუცი მოინათლა. (შუახევის მუნიციპალიტეტი, თ.გ.).

ეთნოგრაფიული მასალა:

„მარეთის ხეობის, ამ ჩვენი სოფელის სახელი **გამონათლევი** ქართველთაგან გადატანილი ჭირის, სულიერებით განათლების, ღმერთის შემწეობით საკუთარის, ქართულის გადარჩენის, ქართველისთვის გვერდით დგომის საფუძვლადაა მიჩნეული. შენ რომ გამოიკვლევ შეიძლება სხვა რაიმე იყოს, მაგრამ ჩვენ ასე გვგონია, რომ გამონათ-ლევი რაც გითხარი იმას გვიამბობს. ისტორიაც, რომ არ დაგვიწყებოდა, ჩვენი რწმენისკენ რომ მივბრუნდეთ, სწორედ ამ სოფელში ავაშენეთ წმინდა გიორგის ეკლესია. დღეს ყველა ლაპარაკობს გამონათლევის ეკლესიაზე, სოფლის და ეკლესიის ამ მნიშვნელობაზე. ისიც ვიცით, რომ ქრისტიანობის წმინდანის სახელობისაა, გამოჩინე-ბულობის მომთხრობია, გამომნათებელია.“ (მთხრობელი მ. მაკარაძე. ოლადაური. 2017).

საცნობარო ლიტერატურაში ტერმინის „განათლება“ ერთი განმარტებაა „განათება“. ძველი რელიგიური განმარტებით, „ცხონება“; „**განათლებულის**“ ერთი განმარტება „**განათებულია**“ (ქეგლ, 1951; ქეგლ, 1960).

შდრ., სვანური ეთნოგრაფიული მასალა: კაცი იმ ცოდნით ინათლები, რასაც ღირსების, შენი ქვეყნის, სხვისთვის გვერდით დგომის ცოდნა ჰქვია. ამას წიგნზე მეტად ცხოვრების წიგნი გასწავლიდა - „ლადი გუნ ლუთუერ ხაჟხა ესუაის მოოლე ლათურიალს ხოჩდა. ლუთურობ ხოჩა ლი, მარე ჯუინალდ იათხეხიქაი ეჯა ლასუ ლუთურობე ამსუალდს ლახ ჩუ ხოხალდა, იმჟი ხეკუეს ლმაარლასუ, იარ ხეკუეს ლმაარლასუ სამხუბაშდ. ლუთუერ ლასუ ხოჩა, სარგიბ, ლაჭრაჯ, ჩიდ მაჩეენე უმღუეენა

ამსუაალდარისგაი, ადო ლუმღუეენს ჩის გუნ ლუთუერდ არშუენდახ!“ (მთხრობელი ციალა გულედანი. ლენჯერი. 27.01.2024);

მოინათლე, ესეიგი სული გაინათლე, ესეიგი იწამე, კაცი იცანი, მისი მხარი, მადლიანი, კარგის მქმნელი გახდი, კვალი გაინათე (მთხრობელი ზ. შავიანიძე, ერტისი. 2013).

სულგანათლებულს მიცვალებულზეც იტყვიან და ცოცხალზეც. მიცვალებულზე ჩვენგან მიცვალებულის პატივისცემის გამო. შენი ამ დამოკიდებულებით მის სულს ღმერთთან შუამდგომლობ. ცოცხალის შემთხვევაში კი ცნობილი კაციაო თავის ბუნებით და მარტო განათლებით არა - „შურგანათებულს ღურელიშენ დო ცოცხალიშენ თქუანა. ღურელიშ გურშენ ჩგინდე ღურელიშ პატივსაგებო. ჩქიმი ათე დამოკიდებულებათ მუშ შურს ღორონთი წკუმა შუამდგომლობას უწენქი. ცოცხალიშ შემთხვევას ჩინებულ კოჩ რენია მუშ ბუნებათი დო ხვალე განათლებათ ვარი“ (მთხრობელი ბ. გაბელაია. 5.11. 2023. აბაშა. სოფ. ნოღოხაში).

საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულში მოძიებული მასალით, „უგანათლებულესი“, „განათლებული“ რჩეულების/გამორჩეული/განსაკ-უთრებული, ქართულობისთვის მოღვაწეთა სახელიცაა.

ეთნოგრაფიული მასალა:

ტაოს სოფელ ჭილათის მკვიდრი მუხო დევაძის (მუამერ იხტიარ ოღლი) თქმით: „კაცი უნდა გიცნობენ სოფელში. იმფერი უნდა იყო, ნათელი, მიგიხედონ, გიიხსენონ ის რაფერ იზამს. ამფერი ბუნება უნდა გქონდეს. სახელი გაქ, გიცნობენ შენი ქცევით. წიგნის ცოდნა გეხმარება. თუ შენი ქალიზა, სახლიზა, კაი საქმიზა ქვას ზიდავ ზურგით, მარტო თავისიზა არ ირჯება, იცნობი“.

„შიიძლება წიგნი იცოდე, მარა შენი თავიზა იყო. ამფერი კაცი არ ხარ განათლებული, არ გიცნობენ. არ გაქ კაის სახელი კაც თუ ბოზი ხარ, ქალს თუ მოარტყამ, სტუმარი არ გინდა. ღმერთი თუ არაა სტუმარი არ იქნება. ამიზა უნდა გიყვარდეს. არ გიყვარს ღმერთიანი არ ხარ. თუ არ გიისარჯები სხვიზა, მაშინ საა შენი განთლება? არ ხარ სახელიანი, გამოჩენილი“ (შაბან ხაჯიშვილი. 2022).

ჩვენში იტყვიან განათლებულიო, წიგნიერი კაციაო. განათლებულზე მეტი ხარ, უგანათლებულესი (გამორჩეული სხვათაგან), როცა ქვეყნისთვის, სხვისთვის შესარგი წესით ცხოვრობა იცი (მთხრობელი ზ. შანიძე. სოფელი ორპირი. 2023).

განათლება ქვეყნის სასიკეთოს, კაცის ვარგობის სადარაჯოზე ყოფნაა (მთხრობელი ჟ. ხაიკაშვილი. 2014).

განათლებული იყო ჩვენი წინაპარი. მისი ლამპარი ქვეყანა იყო მისი, მტერი და მოკეთე. ილოცებოდა და ციხეს აშენებდა ქვეყნის დასაცავად, კაცის დასაცავად უწესო წესისგან (მთხრობელი ლ. არაბული. შატილი. 2020).

ბალსზემო და ბალსქვემო სვანეთში მოძიებული მასალებით, აქ განათლებული მდიდარი იყო, გაუნათლებელი კი ღარიბი. სარკაზმით განათლებულს ეტყოდნენ უწიგნურ მდიდარსაც.

„**უგანათლებულესი**“ კი ძველად, რევოლუციამდე თავადის უმაღლესი ტიტული მ-ეფის რუსეთში: „ილია ოქრომჭედლიშვილმა აიღო უგანათლებულესი თავადის მინგრელსკის უზარმაზარი ტყე...“ (ქეგლ, 1951; ქეგლ, 1960).

მაშასადამე, უგანათლებულესი დღეს გახდა განათლების ცენზის მატარებელი. ძველად და ახლო წარსულშიც კი განათლება მიანიშნებდა ადამიანის ბუნებით ცოდნას იმის შესახებაც, თუ როგორი უნდა ყოფილიყო, ვინ უნდა ყოფილიყო თემისთვის. განათლებულის სინონიმი იყო კარგი, ვარგი, ბრწყინვალე, საუკეთესო რიგით ადამი-ანებშიც, თორემ დაწინაურებულ ფენებში ცნობილია ხელმწიფეთა უგანათლებულესაც მოხსენიება.

აღნიშნულს ეთნოგრაფიული მასალების გარდა ეპიტაფიების ადასტურებენ.

დასტურად მოვიტანთ ღვანკითის ეკლესიაში დაცულ მხოლოდ ორ ეპიტაფიას.


ასაფლავია უძვირფასესი მეუღლე ჩემი
განათლებულესი თავადი მეფე ალექსანდრესი
მეოთხე დგმა
ალექსანდრე ივანეს ძე ბაგრატოვანი:
დაიცვალა 1895 წელსა თებერვლის მვიდსა
სა ხნით იყო ორმოცდა ოთხი წლის: გთხოვთ
მკითხველებთ შენდობა შეუთვალოთ;

და უნდა დავსაფლავდე აქვე მე
ეგანათლებულესის თავადის ალექსანდრე
ივანეს ძე ბაგრატოვანის კნეინა
ტორ თავადის ალექსანდრე წულიკიძის
ასული. ამისათვის გავაკეთებინე
ძის ხარჯით ჩემის ქრმის ლ ჩემისთავისა
ვისაც ესე მოსაგონარი ლ საფლავის
დასაცველი: 1897 წელმიდ
ოცს ნოემბრის თვეს



ტერმინის „უგანათლებულესი“, დღესაც გავრცელებული სინონიმებია ეპითეტები: „ბრწყინვალე“, „აღმაშენებელი“, „საჩინო“, „დიდი“... იგივეს იტყვიან კარგით გამორჩეულ ადამიანზე.

დასკვნები.

ჩვენი ეთნოგრაფიული მასალების კომპლექსურ-ეთნოისტორიული, შედარებითი ანალიზის მეთოდის საშუალებით წარმოებული კვლევით დასტურდება:

ქართველთა ეთნიკური ისტორიის არა ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი; გად არჩენის მიზეზი - რწმენის, ეთნიკურობასთან „გაეროვნულებული“ მართლმადიდ-ებლური ქრისტიანობის, მენტალობის შესანარჩუნებელი მზაობის შესახებ.

ისტორიული მოვლენების, ეთნოსის მსოფლმხედველობის ამსახველი ტოპონიმ ების საერთოქართველური ენობრივი მახასიათებლების, მაწარმოებლების შესახებ.

ეთნოისტორიული კვლევის გზაზე უმნიშვნელოვანესია ტოპონიმების(/„დედა მიწის ენა“) შესახებ არსებული შექმნა-სახელდების საფუძვლების ამსახველი სანდო ეთნ ოგრაფიული მასალის სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანა.

გამოყენებული ლიტერატურა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული საველე ეთნოგრაფიული ექსპედიციები 2016-2024.

გოცაძე, ნ. (2018). *წმინდა ხის კულტი, ხატის ტყე და ძველი ქართული ტრადიციები.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://sputnik-georgia.com/20181023/242611820.html

ერიაშვილი, ჟ. (2016). *უძველესი სოციალურ-რელიგიური ინსტიტუტები აღმოსავლეთ საქართველოს მთაში. ქართველები.* რედაქტორები: ლ. ბერიაშვილი და ლიანა მელიქიშვილი, თბილისი.

ვიკიპედია: თავისუფალი ენციკლოპედია. (თ.გ.). *მუხაესტატე.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://ka.wikipedia.org/wiki/მუხაესტატე

სახოკია, თ. (1985). *მოგზაურობანი.* ბათუმი.

ქეგლ. (1951*). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.* არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. 2. თბილისი.

ქეგლ. (1960). *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.* არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. 6. თბილისი.

შუახევის მუნიციპალიტეტი. (თ.გ.). *ისტორიული ძეგლები.* მოძიებულია ვებგვერდიდან: http://www.shuakhevi.gov.ge/index.php?m=647

REFERENCES

ak'ak'i ts'eretlis sakhelmts'ipo universit'et'is mier organizebuli savele etnograpiuli eksp'editsiebi 2016-2024 [Ethnographic field expeditions organized by Akaki Tsereteli State University 2016-2024].

gotsadze, n. (2018). *ts'minda khis k'ult'i, khat'is t'qe da dzveli kartuli t'raditsiebi [The cult of the sacred tree, icon forest and old Georgian traditions].* Retrieved from https://sputnik-georgia.com/20181023/242611820.html

eriashvili, zh. (2016). *udzvelesi sotsialur-religiuri inst'it'ut'ebi aghmosavlet sakartvelos mtashi. kartvelebi. [Ancient socio-religious institutions in the mountains of Eastern Georgia. Georgians].* Editors: L. Beriashvili and L. Melikishvili.Tbilisi.

vik'ip'edia: tavisupali entsik'lop'edia [Wikipedia: The Free Encyclopedia]. (n.d.). *mukhaest'at'e [mukhaestate].* Retrieved from https://ka.wikipedia.org/wiki/მუხაესტატე

sakhok'ia, t. (1985). *mogzaurobani [Travelings].* Batumi.

kegl. (1951). *kartuli enis ganmart'ebiti leksik'oni [Explanatory dictionary of the Georgian language].* under the general editorship of Arn. Chikobava.Vol. 2. Tbilisi.

kegl. (1960). *kartuli enis ganmart'ebiti leksik'oni [Explanatory dictionary of the Georgian language].* under the general editorship of Arn. Chikobava.Vol. 6. Tbilisi.

shuakhevis munitsip'alit'et'i Shuakhevi Municipality]. (n.d.). *[ist'oriuli dzeglebi Historical monuments].* Retrieved from http://www.shuakhevi.gov.ge/index.php?m=647